

კირიაკ
ქავრიევი

პიობიბლიოგრაფია



«ელემენტები» 1978

Кириак
Завриев

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»
ТБИЛИСИ
1978

კირიაკ
ქავლიერი

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
1978

სამუშანებლო მექანიკის და ნაგებობათა სეისმო-მეცნიერობის დაწყის საბჭოთა მეცნიერის ქ. ზავრიელის ბიობიბლიოგრაფია მოცავს 1913—1976 წლების ზასალას. ნაშრომში შედის სამეცნიერო-კლევითი, სამეცნიერო-პობულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მისი რედაქციით გამოცემული შრომები, აგრეთვე ლიტერატურა ქ. ზავრიელის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ზასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგის მიხედვით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ქ. ზავრიელის მოკლე ბიოგრაფია და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზნისა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის ძირითად შრომათა ანბანური და სახელთა საძიებლები.

Биобиблиография советского ученого в области строительной механики и сейсмостойкости сооружений К. С. Завриева содержит материал, охватывающий годы 1913—1976. В биобиблиографии представлены научно-исследовательские, научно-популярные, общественно-политические труды и труды, опубликованные под редакцией ученого, а также литература о жизни и деятельности К. С. Завриева.

Материалложен в хронологическом алфавитном порядке. К биобиблиографии преднаслана краткая биография, очерк научной и общественной деятельности К. С. Завриева. Прилагается алфавитный указатель основных трудов и указатель имен.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. ძიძოგური (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, თ. დავითაძე, გ. დარასელია, ვ. კუპრაძე, ვ. მახალავანი, ვ. კუჭავაძე, ა. ფრანგიშვილი, გ. ვიცოშვილი, ს. ხადური (მდივანი).

შემდგენელი: ი. დუდუჩავა

რედაქტორები: რ. ლორთქიანი და ს. ხადური

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзидзигури (глав. редактор), Л. К. Габуния, Ф. Ф. Давитая, М. К. Дараселия, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадури (секретарь).

Составитель И. М. Дудучава

Редакторы: Р. С. Лордкипанидзе, С. А. Хадури

Библиографическая редакция Т. Е. Накашидзе



კირიაკ სამსონის ევ ზავრიავი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

ცნობილი მეცნიერი სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედე-
გობის დარგში —კირიაკ ზავრიევი პირველი თაობის საბჭოთა ტექ-
ნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია.
თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მან ფასდაუდებელი წვლილი
შეიტანა საბჭოთა საქართველოში სამშენებლო მეცნიერების ჩამო-
ყალიბებისა და განვითარების საქმეში, ინჟინერ-პრაქტიკოსთა და
მეცნიერ მუშავთა კადრების აღზრდაში და ნაგებობათა მშენებლო-
ბისა და დაპროექტების დროს წამოჭრილ რთულ ტექნიკურ ამო-
ცანათა გადაწყვეტაში.

კ. ზავრიევი დაიბადა 1891 წ. 28 იანვარს; თბილისში, სამხედ-
რო ტოპოგრაფიის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის
მე-3 გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა 1908 წ.
ამის შემდეგ კ. ზავრიევი შევიდა პეტერბურგის მიმოსვლის გზათ
ინჟინრების ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1914 წ. ხიდის სა-
უკეთესო სადიპლომო პროექტისათვის კ. ზავრიევი დააჯილდოვეს
ოქროს მედლით და საზღვარგარეთ მივლინებით, მაგრამ ეს მივლი-
ნება განუხორციელებელი დარჩა პირველი მსოფლიო ომის დაწ-
ყების გამო.

ვიტ კიდევ სტუდენტობისას კ. ზავრიევი მუშაობდა პეტერ-
ბურგში სასახლის ხიდის მშენებლობაზე, სამუშაოთა მწარმოებლად-
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მიიწვიეს ამავე ინსტიტუტ-
ში მასალათა გამძლეობისა და უმაღლესი მათემატიკის მასწავლებ-
ლად.

1915 წ. კ. ზავრიევი მიდის ფრონტზე, სადაც იწყებს მუშაობას
ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ მშენებლობის უფროსად
სამხედრო ხიდების მშენებლობაზე. ამასთან ერთად იგი პპროექ-
ტებს რამოდენიმე დიდ სამხედრო ხიდს ვილნოსა და ბესარაბიის

ოლქებში. 1917 წ. ბესარაბიის ფრონტზე ყოფნისას ის მონაწილეობს თდესის პოლოტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში, სადაც შემღვევი მას იწვევენ დოკუმენტად.

1921 წ., საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, კ. ზავრიევი ბრუნდება მშობლიურ ქალაქში. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და პირველი ხეთწლედების პერიოდშიც კი საქართველო განიცდიდა ინუინერ-მშენებოლთა ნაკლებობას. კვალიფიციურ სპეციალისტთა მცირე ჯვალი: კ. ზავრიევს, გ. მუხაძეს, პ. ხელისუფლების მამრაძეს, ბ. ჭიჭინაძეს, ა. ჩიქოვანსა და სხვებს საინუინრო კადრების აღზრდასთან პარალელურად უხდებოდათ აქტიური მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ნაგებობათა დაპროექტებასა და შენებლობაში და გზადაგზა მრავალი სამეცნიერო საკითხის გადაწყვეტა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კ. ზავრიევმა დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის რეინიგზაზე. აქ მან დააპროექტა რეინიგზის ხიდები. ამასთან ერთად მან დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ჯერ დოკუმენტის, შემდეგ პროფესორის, ხოლო 1924 წლიდან საინუინრო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებზე.

1928 წ. კ. ზავრიევი დაინიშნა ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. ეს ინსტიტუტი იყო ტექნიკური პროფილის პირველი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება.

1933 წლიდან 25 წლის განმავლობაში კ. ზავრიევი მუშაობდა ამიერკავკასიის შიმოსვლის გზათა ინუინრების (შემდეგ თბილისის რეინიგზის ტრანსპორტის ინუინრთა) ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის შექმნების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, კ. ზავრიევი აქვე აგრძელებს ლექციების კითხვას მასალათა გამძლეობაში.

1940 წ. კ. ზავრიევი დაინიშნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან არსებული ანტისეისტური მშენებლობის ბიუროს თავმჯდომარედ, რომელიც 1947 წ. გადაკეთდა სამშენებლო საქმის ინსტიტუტად, ხოლო 1966 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტად. კ. ზავრიევი იყო ამ ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი, და უცვე 37 წელზე მეტია, რაც უცვლელად ხელმძღვანელობს მას.

სამეცნიერო მოღვაწეობა კ. ზავრიევმა დაიწყო ჯერ კიდევ

სტუდენტობის პერიოდში. პეტერბურგში სასახლის ახალი ზიდის მშენებლობაზე, საპროექტო მასალების შემოწმებისას, მან შეამჩნია დასაშვებ ძაბვათა მიხედვით კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდის არასრულყოფილობა. იმ დროს ფართოდ აღიარებული ამ შეთოდის ნაცვლად კ. ზავრიევმა წამოაყენა კრიტიკულ დატვირთვათა შეთოდი. ახალგაზრდა სპეციალისტის კვლევათა შედეგებმა მიიქციეს სამშენებლო მექანიკის დარგში გამოჩენილი რუსი მეცნიერის ს. პ. ტიმოშენკოს ყურადღება. მისი რეკომენდაციით ისინი გამოჩეუნდა „პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინსტიტუტის კრებულში“ 1913 წელს სათაურით „დრეკად ღეროთა გამძლეობა რთული გრძივი ღუნვის პირობებში“. ამავე წელს იმავე თემას მიეძღვნა კ. ზავრიევის სტატია „ტექნოლოგთა საზოგადოების მოამბეში“. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის ნაშრომის პუბლიკაცია „პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინსტიტუტის კრებულში“ წარმოადგენდა ტრადიციის დარღვევას, რაღაც კ. ზავრიელში“ ქვეყნდებოდა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა შრომები. ასეთი გამონაკლისის დაშვება გამოწვეული იყო ნაშრომის დიდი შინაგანებრივი მიზანით. ამ ნაშრომში კონსტრუქციათა ელემენტების სიმტკიცეზე გაანგარიშებისადმი პრინციპულად ახალი მიღებობის საფუძველზე წინასწარ განვითარებილი იყო კონსტრუქციათა ზღვრული მდგომარეობის მიხედვით გაანგარიშების თანამედროვე მეთოდი, რომელიც ამჟამად მიღებულია საბჭოთა კავშირში და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნებში. ეს მეთოდი საფუძვლად უდევს „სამშენებლო ნორმებსა და წესებს“—ძირითად დოკუმენტს ჩვენს ქვეყანაში, რომელშიც თავმოყრილია სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტებისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები და მითითებანი.

როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა კ. ზავრიევის ინტერესი ამ სამეცნიერო საკითხისადმი განაპირობა იმ დროს არსებულმა საანგარიშო მეთოდიმა, რომლის არასრულყოფილობა მან შეამჩნია სასახლის ხილის მშენებლობისას. ე. ი. სამეცნიერო კვლევის საგანი ნაკარნახევი იყო პრაქტიკის მოთხოვნით. ასეთი ყურადღება პრაქტიკის მოთხოვნებისადმი და სამეცნიერო კვლევათა საშუალებით მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება დამახასიათებელია კ. ზავრიევის მთელი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. ეს მოღვაწეობა ვითარდებოდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით.

ნაგებობათა სეისმომედეგობა. გორის 1920 წლის დამანგრე-

კელმა შიწისძვრამ და შემძეგ შელებში ლენინგრანსა და ყირიმში მომისდარმა შიწისძვრებმა აჩვენეს, რომ შიწისძვრათა საშინელი შედეგები გაპირობებულია შენობათა დანგრევით, რომელთა ნანგრევებშიც იღუპება ადამიანები და ნაღვურდება მათი შროშის შედეგად შექმნილი მატერიალური დოკლათი. აშასთან დაკავშირებათ, კ. ზავრიევმა, გადაწყვიტა ხელი მოკიდა შიწისძვრის ზემოქმედებისადმი შენობათა საკმარისი გამძლეობის უზრუნველყოფის საჭიროებისას, ანუ ნაგებობათა სეისმომედეგობისათვის. ამისათვის. პირველ ყოვლისა აუცილებელი იყო სეისმური ზემოქმედების სიღიდის საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა და ამ ზემოქმედებისას ნაგებობათა ქცევის ხასიათის გარკვევა. იმ ხანად მსოფლიოში გაბატონებული იყო სეისმომედეგობის ე. წ. „სტატიკური“ თეორია, რომელიც დამუშავეს იაპონელმა სპეციალისტებმა ომორიშ, მონონიბემ და სხვებმა. ამ თეორიის მიხედვით დაშვებულია ნაგებობათა, როგორც აბსოლუტურად მყარი სხეულების, რხევა, ე. ი. სრულებით უგულებელყოფილია რხევათა შედეგად გამოწვეული დეფორმაციები და კონსტრუქციათა საკუთარი რხევები. ზოგიერთი ნაგებობის ამ თეორიით გაანგარიშების პირველსავე ცდებმა კ. ზავრიევი მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ სტატიკური თეორია მთელ რიგ შემთხვევებში იძლევა არათუ მცდარ, არამედ შეუსაბამო შედეგებსაც. გამოავლინა რა სეისმომედეგობის სტატიკური თეორიის სუსტი მხარეები, კ. ზავრიევმა დაამუშავა ახალი ე. წ. დინამიკური თეორია, რომელიც ითვალისწინებდა ნაგებობათა დეფორმაციებსა და საკუთარ რხევებს. ამ თეორიის საფუძვლები კ. ზავრიევმა ჩამოაყალიბა ნაშრომში. „საინჟინრო ნაგებობათა გაანგარიშება სეისმომედეგობაზე“ (1928 წ.). შემდეგში კ. ზავრიევმა გააგრძელა ინტენსიური მუშაობა ამ თეორიის გაღრმავებაზე. და გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა შემდეგ შრომებში: „საინჟინრო ნაგებობათა სეისმომედეგობა“ (1931 წ.), „სეისმომედეგობის თეორიის საფუძვლები“ (1933 წ.), „სეისმომედეგობის თეორიისა და ტექნიკური პირობების შესახებ“ (1933 წ.), „მოქნილ ნაგებობათა გაანგარიშება სეისმომედეგობაზე“ (1934 წ.). კ. ზავრიევის შრომები გამოქვეყნდა აგრეთვე საზღვარგარეთულ მეცნიერულ ჟურნალებში.

სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის დამუშავებაში კ. ზავრიევმა ჩააბა თავისი მოწაფეებიც (ა. ნაზაროვი ა. ჩურაიანი, გ. ლომიზე). ამ გამოკვლევათა შედეგები შევიდა მის მონოგრაფიაში „სეისმომედეგობის დინამიკური თეორია“ (1936 წ.) და ა. ნაზარი

როვთან ერთად დაწერილ მონოგრაფიაში „სეისმომედუგობის თეორია“ (1937 წ.).

ნაგებობათა სეისმომედუგობისა და დინამიკის საკითხები შემდგომშიც დარჩა კ. ზავრიევის სამეცნიერო ინტერესთა ცენტრში და არაერთი შრომა უძლივნა ამ საკითხებს. ასე, 1936 წლიდან 1976 წლამდე კ. ზავრიევმა ამ დარღვიში გამოაქვეყნა 30-ზე მეტი შრომა, მათ რიცხვში მონოგრაფიები: „ნაგებობათა დინამიკა“ (1946 წ.), „ნაგებობათა მდგრადობა და დინამიკა“ (1959 წ., გ. ქარცივაძესთან თანაავტორობით), „შენობათა გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე“ (1967 წ., ა. ბერაიასთან თანაავტორობით), „შენობათა და ნაგებობათა სეისმომედუგობის საფუძვლები“ (1970 წ., ავტორთა კოლექტივთან ერთად) და სხვ.

კ. ზავრიევის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ანტისეისმიურისთა ქართული სკოლა (შ. ნაფეტვარიძე, ე. სენიაშვილი, გ. ქარცივაძე, შ. ჯაბუა, ა. ჩურაიანი, ა. ლოსაბერიძე, თ. ჩაჩავა და სხვ.), რომელიც ამჟამად მაღალი სამეცნიერო ივტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ნაგებობათა დინამიკის, კერძოდ სეისმომედუგობის საკითხების, კვლევისას კ. ზავრიევი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუკლილა სამშენებლო მექანიკის ზოგადი საკითხების განხილვას. მან გაანავითარა თავის პირველ სამეცნიერო შრომაში წამოყენებული იღები და გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებიც მიეძღვნა სიმტკიცის გაანგარიშებას განსაკუთრებულ შემთხვევებში, პლასტიკურობის თეორიას, მასალის პლასტიკურობის გათვალისწინებას კონსტრუქციათა გაანგარიშებისას და სხვ. მან აგრეთვე დაწერა ორიგინალური კურსი „ნაგებობათა გამძლეობა“ (1939 წ.).

მთელი თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე კ. ზავრიევი დიდ ყურადღებას უთმობდა გამოკვლევებს ბეტონისა და რკინაბეტონის დარღვიში. უკვე მიმდინარე საუკუნის დამდეგს შეიძლებოდა ამ მასალების დიდი მომავლის დანახვა. მართლაც, ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენების სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ეს კი მოითხოვდა სამეცნიერო კვლევების გაშლას. კერძოდ, აუცილებელი იყო ბეტონის შედგენილობის დაპროექტების მეთოდების შექმნა, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი გახდებოდა დეფიციტური ცემენტისა და მუშახელის შენიშვნისას დანახარჯით, მოთხოვნილი სიმტკიცისა და ხანგამძლეობის მქონე ბეტონის მიღება. ეს მით უფრო აუცილებელი იყო იმ-

ის გამო, რომ ბეტონის შედგენილობის განსაზღვრის ხერხები, რომ-ლებიც დამუშავებული იყო უცხოელ სპეციალისტთა მიერ (აბრამ-სი, ბოლომეი), წმინდად ემპირიული ხასიათისა იყო და არ გააჩნ-და არავითარი თეორიული დასაბუთება. კიდევ მეტი, აღმოჩნდა, რომ ცემენტის მრეწველთა სამებლად, რომლებმაც დააფინანსეს სამეცნიერო კვლევები, ბეტონის შედგენილობის განსაზღვრის ხერ-ხები, დამუშავებული უცხოელი სპეციალისტების მიერ, იძლეოდ-ნენ ცემენტის ზედმეტ ხარჯს. ამ ფაქტთან შერიგება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

ყოფილ ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში კ. ზავრიევი სათავეში ჩაუდგა ბეტონის შედგენილობის განსაზღვრის უფრო ეკონომიური და დასაბუთებული მეთოდის შექმნას. ახალ მეთოდს საფუძვლად დაედო სრულიად ნათელი ფიზიკური წარმოდგენები „ქვიშისა და ხრეშის შეცვების კოეფიციენტების“ შესახებ ნაცვ-ლად „სამსახოს მოდულის“ ფიზიკურად არც თუ ისე ნათელი ცნე-ბისა, რომელიც საფუძვლად ედო ბეტონის შედგენილობის დაპრო-ექტების იმ დროს გავრცელებულ მეთოდს. ამან შესაძლებლობა მისცა ჭ. ზავრიევსა და მის თანამშრომლებს (ი. შტაერმანს, ა. იაშ-ვილს, პ. წულუკიძეს, ვ. მიხაილოვს და სხვ.) შეექმნათ ახალი მე-თოდი, რომლის მეშვეობითაც ბეტონის კომპონენტების (ცემენტი, წყალი, ქვიშა, მსხვილი შემცვები) თანაფარიდობები მიიღებოდა მა-თემატიკური გაანგარიშების შედეგად და არა სასინჯი ცდების გზით, როგორც ამას მოითხოვდა ძველი მეთოდი. გარდა ძირითად ცნება-თა სიცხადისა, ახალი მეთოდი გამოირჩეოდა სიმარტივით და ში-ხერხებულობით, რასაც ხელს უწყობდა პრაქტიკული გამოყენები-სათვის დამუშავებული ცხრილები და ნომოგრამები.

საოცრად მოკლე ვადებში ჩატარებული კვლევათა შედეგი (1928—1929 წწ.) გამოქვეყნდა სტატიების, ინსტრუქციული და ნორმატიული დოკუმენტების სახით: „სახელმძღვანელო ბეტონის შედგენილობის დაპროექტებისათვის“ (1930 წ.), „ინსტრუქცია ბე-ტონის შედგენილობის შერჩევისა და სამუშაოთა წარმოების დროს მისი კონტროლისათვის“ (1930 წ.), „ბეტონის დროებითი წინაღო-ბის ნორმები“ (1930 წ.), „ბეტონის შედგენილობის დაპროექტება ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის მეთოდით“ (1930 წ.) და სხვ. ამ ნორმატიულ მასალებს ფართოდ იყენებდნენ მშენებლო-ბებზე მთელს საბჭოთა ქავშირში. კ. ზავრიევის ხელმძღვანელობით ოციანი წლების მიწურულში შექმნილი ბეტონის შედგენილობის განსაზღვრის მეთოდი ლიტერატურაში შევიდა „ამიერკავკასიული

მეთოდის" სახელწოდებით და თავის ღროზე სარგებლობდა დიდი პოპულარობით. ამ მეთოდის დამუშავებისას მიღებულ ძირითად წარმოდგენებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი შემართულებაა სამშენებლო კონსტრუქციათა წონის შემცირება, რაც იძლევა სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და კონსტრუქციათა ელემენტების ვამსხვილების გზით სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე და ამასთან ერთად შემცირების საშუალებას. კონსტრუქციათა წონის შემცირების შედეგად მცირდება საძირკველზე გადასაცემი და ტვირთვებიც, რაც ადვილებს მისი მუშაობის პირობებს და შესაბამისად ამარტივებს მის კონსტრუქციასაც.

გარდა ამისა, კონსტრუქციათა წონის შემცირება იწვევს მიწისძვრის ზემოქმედების პირობებში აღძრული ინერციული ძალების შემცირებას. ამ უკანასკნელ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სეისმურ რაიონებში მშენებლობისას. აქედან გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც დღესაც იწვევს აღნიშნული საკითხი.

კონსტრუქციების წონის შემცირების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მძიმე ბეტონის შეცვლა მსუბუქით. აღსანიშნავია, რომ ამ დებულების დასაბუთებაში არც თუ მცირე წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებმა და მშენებლებმა. ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისში სპეციალისტების ჯგუფმა (ი. შტაერმანი, მ. სიმონოვი, გ. ცისკრელი, პ. წულუკიძე და სხვ.) კ. ზავრიელის ხელმძღვანელობით დაიწყო ბუნებრივ ფოროვან შემკვებზე დამზადებული ბეტონისა და რკინაბეტონის გამოკვლევა. იმ დროს მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკა ჯერ კიდევ არ იცნობდა ბუნებრივ ფოროვან შემკვებზე დამზადებულ მსუბუქ რკინაბეტონს. მისიდამი უარყოფითი პოზიცია დაიკავა ზოგიერთმა ცნობილმა მოსკოველმა მეცნიერმაც. მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტთა კოლექტივმა კ. ზავრიელის ხელმძღვანელობით შეძლო დამტკიცებინა ბუნებრივ ფოროვან შემკვებზე მსუბუქი რკინაბეტონის დამზადების შესაძლებლობა და მისი გამოყენების რენტაბელობა.

თბილისში ოცდაათიან წლებში ბუნებრივ ფოროვან შემკვებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონი და რკინაბეტონი გამოყენებული იყო ისეთ პასუხსაცემ შენობებში, როგორიცაა მარქს—ენგელს—ლენინის ანსტრუქტი, მთავრობის სასახლე, „დინამის“ სტადიონი, საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე და სხვ. შემდგომში ამ სახის მსუბუქი რკინაბეტონი გამოყენებულ იქნა სამრეწველო ნა-

გებობებსა და ხიდებში (მ. იაკუბოვიჩი) და უაღრესად ფართო გავრცელება ჰპოვა საბინაო მშენებლობაში. ბუნებრივ ფორმოვან შემცირებზე დამზადებული მსუბუქი რეინაბეტონის ასეთი დანერგვა საუკეთესო ჯილდო იყო ახალგაზრდა სპეციალისტთა თავდადებული შრომისა, ინიციატივისა და გამშედაობისათვის.

კ. ზავრიევის როლი ბეტონისა და რეინაბეტონის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ არ ვიტყვით იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში, რომელსაც ის მეთაურობდა, დაიწყო საბჭოთა კავშირში პირველი კვლევები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა წინასწარდაბული რეინაბეტონი და განვრცობადი ცემენტი (ვ. მთხაილოვი). აქვე იქნა პირველად გამოკვლეული და დაინერგა ცენტრიფუგირებული ბეტონი.

როგორც ადრე აღნიშნეთ, კ. ზავრიევის პირველი სამეცნიერო შრომა დაყავშირებული იყო სასახლის ხიდის მშენებლობასთან. ხიდების გაანგარიშების თეორიის საკითხებისადმი ინტერესი მას არ განელებია მომდევნო წლებშიც და მათ თვალისაჩინო აღგილი დაიკავეს კ. ზავრიევის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში. საქმარისია ითქვას, რომ 1920—1928 წლებში გამოქვეყნდა მისი სამი შრომა ქვისა და რეინაბეტონის ხიდების შესახებ ჯა 10 შრომა მიერღვნა ლითონების დალლილობას. ეს უკანასკნელი საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლითონის ძველი ხიდების ზიდვითი უნარის შეფასებასთან. ასეთი ხიდები ბლომიდ იყო რეინიგზებზე, მათ შორის ამიერკავკასიის რეინიგზაზეც და აუცილებელი იყო გაზრდილი დატვირთვებისა და სიჩქარეების პირობებში მათი შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დაღვენა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ზავრიევის შრომები ქვის თაღოვანი ხილების გაანგარიშების შესახებ. ამათგან პირველ რიგში ყურადღების იპყრობს შრომა, რომელშიც კ. ზავრიევმა გამოასწორა ცნობილი გერმანელი მეცნიერის ა. შტრასნერის შეცდომა და მინიშვნელოვნად გააუმჯობესა თაღების გაანგარიშების მის მიერ დამუშავებული მეთოდი (1929 წ.). აგრეთვე მოხსენიების ღარსია კ. ზავრიევის შრომები „ქვის უსახსრო ხილების გაანგარიშება ფრეისინეს მეთოდით მათი განქარგილების პირობებში“ (1929 წ.), „მსუბუქი რეინაბეტონის მასიური კამარები“ (1948 წ.) და სხვ.

სამეცნიერო შრომებმა უკვე დიდი ხანია მოუტანეს კ. ზავრიევს მსოფლიო აღიარება. „პროფ. ზავრიევი არის ანტისეიისმური მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი მსოფლიოში“ —

წერება პროფ. ს. ბერნშტეინი. „მეტად ძვირულასია აკად. ზავრიევის შრომა (ნაგებობათა დინამიკა), მას დღი წვლილი შეაქვს როგორც ჩვენს, ისე მსოფლიო ლიტერატურაში“ — წერდა აკადემიკოსი გ. პ. პერიდერი. სხვაგან იგივე ავტორი აღნიშნავდა: „დღი მიღწევებია ქვის ხიდების თეორიაში, განსაკუთრებით სსრკ-ში, სადაც ყაზმები გამოქვეყნდა აკად. ზავრიევის შრომები“.

სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა კ. ზავრიევმა დაიწყო ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას. 1918 წ. მან მონაწილეობა მიიღო ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში, ხოლო 1928 წ.— ამიერკავკასიაში სამშენებლო პროფილის პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის დაარსებაში. 14 წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ამ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, სამეცნიერო ნაწილში, მისი ხელმძღვანელობითა და პირადი მონაწილეობით წარმოებდა კვლევები ნაგებობათა სეისმომედეგობისა და ბეტონისა და რკინიაბეტონის დარიგში. ამ მიმართულებათა სამუშაოებმა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ნაგებობათა ინსტიტუტს, შემდგომში განვითარება პპოვეს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებშიც, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1924—1930 წლებში კ. ზავრიევი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ იმსტიტუტში დეკანის თანამდებობაზე, ხოლო 1930—1932 წლებში სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილში. 1933 წლიდან იგი 25 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინინჟერთა ინსტიტუტის უფროსის მოადგილედ სამეცნიერო და სასწავლო ნაწილში. ამ ინსტიტუტში წარმოებდა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა. კერძოდ, ბეჭრი რამ გაუკეთდა სატრანსპორტო მშენებლობისათვის. კ. ზავრიევს ხელმძღვანელობით დამუშავდა და რკინიგზის ტრანსპორტზე დაინერგა ქვის და რკინიაბეტონის ხიდების განგარიშების გაუმჯობესებული მეთოდები.

1940 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა კ. ზავრიევი დაამტკიცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის (1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია) ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს თავმჯდომარედ; ერთდროულად 1946 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკულ სექტორს.

კ. ზავრიევი ხელმძღვანელობდა ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს სამეცნიერო-ტელევიზი მუშაობას. ამ კვლევების დიდი მნიშვნელობის გამო იგი მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკულ სექტორს.

շնչառածին զամո, ծովարությունը գալապետը և սամանական սայմուն օնստու-
թութագ, Շեմայցիմո օնստութութիւն Շեշպալա սահելունքը և դա դայր-
կա սայարատացալու Ամ մելքնուրեցիւն այս դայրածին սամանական թյ-
յանույն և դա սեօսմոմեջ դայրածին օնստութիւն է. Քայրուցիւն եղանակա-
նունքուն 30 վայրուն մանճունքու օնստութութիւն ամառատացաւ և սա-
մունքուն մարտառալունքը օտար: Խայրենիք սեօսմոմեջ դայրածին և դա
սանունքուն սեօսմոմունքու և սամանական մեյքանույն և դա կանստրուկցիո-
ւնքը; Սամանական մասալատա գուշակուր-քոմուրու մեյքանույն:

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომეცდევობის ინსტიტუტი, დაკომისალექტორული პ. ზავრიელის მიერ აღზრდილი მაღალურალიფიციური სპეციალისტებით, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მეცნიერთა და მშენებელთა შორის. მას უკავია მოწინავე პოზიციები თანამედროვე სამშენებლო მეცნიერების მთელ რიგ საკვანძო საჭიროებში.

საინჟინრო საქმიანობას კ. ზავრიელი მუდამ ათავსებდა სამეცნიერო მოღვაწეობასთან. ეს საქმიანობა მან დაიწყო 1911 წელს სასახლის ხიდის მშენებლობაზე პეტერბურგში, შემდეგ 1915—1920 წლამდე მუშაობდა ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად და მერე მშენებლობის უფროსსად სამსედრო ხიდების მშენებლობაზე. ამ პერიოდში მან დაპროექტა და აშენა ხიდები მდინარეებზე: ნემანზე, ღნეპრზე, ღნესტრსა და ღესნაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ
კ. ზაფრიევი დაინიშნა ამიერკავკასიის რეინიგზის საგზაო სამსახუ-
რის ხიდების განყოფილების უფროსად. იგი ხელმძღვანელობდა ხი-
დების გამოცდასა და მათი მწვადი უნარიანობის დადგენას, პროექ-
ტებდა ახალ ხიდებს. სულ მისი პროექტებით აგებულია 40-ზე მე-
ტი ხიდი. ამ პროექტთაგან ბევრმა (თბილისისა და მცხეთის ხი-
დები მდ.) მტკვარზე და სხვ.) გაიმარჯვა სათანარიო კონკრეტური ში.

გარდა ხიდებისა, კ. ზავრიევი დიდ ინტერესს იჩენდა საბინაო მშენებლობისადმი. მასი ხელმძღვანელობით დამზუშვილა სეისმო-მედევი საცხოვრებელი სახლების პროექტები. რომლებიც პრემიე-ბით აღინიშნენ საჭავჭირო კონკურსებზე. მაგრამ კ. ზავრიევის უმთავრეს დამსახურებად საბინაო და სამოქალაქო სეისმომედევი მშენებლობის წინაშე უნდა ჩაითვალოს ქვის წყობის რეაბილიტა-ცია, რომელსაც მან მიაღწია რეინაბეტონის ანტისეისმური სარ-ტყლების მოწყობითა და ქვის წყობის არმირებით კედლების შეულლების აღვილები. ამ ღონისძიებებში, ზოგიერთ სხვა რეკო-

უენდაციასთან ერთად, გააბათილეს ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა სეისმურ რაოთნებში ქვის, კერძოდ აფურის, წყობის გამოყენების მიმართ, და გზას გაუსხვნეს მის თავისუფალ გამოყენებას სახალხო მშენებლობაში (მენობის სიმაღლისა და სივრცის ზოგიერთი შეზღუდვის დაცვით). თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას მშენებლობისათვის სეისმურ რაოთნებში, მეტყველებს ის, რომ დღესაც, როდესაც სულ უფრო და უფრო ფართოვდება მსხვილი ბლოკებისა და პანელების გამოყენება კედლების ასაშენებლად, აგურს მაინც უკავია მნიშვნელოვანი აღვილი მშენებლობაში, ხოლო ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წიაპი იგი იყო პრაქტიკულად ერთადერთი საკედლებ მასალა.

კ. ზავრიევმა დიდი წვლილი შეიტანა მშენებლობის დარგში საკავშირო ნორმატული დოკუმენტების დამუშავების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით და პირადი მონაწილეობით, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა სეისმურ რაიონებში მშენებლობისა და დაპროექტების ნორმები. შემდგომში ის აქტიურად მონაწილეობდა ამ ნორმების სრულყოფის საქმიში და აგრეთვე რკინაბეტონისა და როითონის კონსტრუქციათა დაპროექტებისათვის ნორმებისა და ტექნიკური პირობების შედგენაში.

კ. ზავრიევს მუდამ ჰქონდა მჭიდრო კავშირი მსხვილ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, ის იყო მათი მუდმივი კონსულტანტი და ექსპერტი. შეიძლება თამაშად ითქვას, რომ ამიერკავკასიაში არც ერთი მსხვილი მშენებლობა, რომელიც მოითხოვდა რომელი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას, არ განხორციელებულა მისი მონაწილეობისა და დამსარების გარეშე. ვაგალითის სახით საქმიარისია მოვიყვანოთ ისეთი საპასუხისმგებლო შენობები და ნაგებობები, როგორიცაა თბილისის სპორტის სასახლე, საქართველოს „ივერიისა“ და „აჭარის“ მაღლივი შენობები, საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში, თბილისის მეტროპოლიტენი და სხვ. კ. ზავრიევი მუდამ პოულობრა საუკეთესო გადაწყვეტას, მას ის ეშინოდა რომელი სიტუაციისა და ამ დროს პასუხისმგებლობის იავებს თავზე აღებისა, ამით იგი ხელს უწყობდა სამშენებლო საქმის წარმატებით განვითარებას. ყოველივე ამან ღრმა თეორიულ კონსატანტურად კ. ზავრიევს მოუპოვა დიდი ავტორიტეტი როგორც რაგითი მშენებლების, ისე საკავშირო და რესპუბლიკური „სახელშენებისა“ და მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელობაში. იგი არაერთხელ იღებდა მონაწილეობას მთავრობის კომისიების მუშაობაში როგორც ჩვენს რესპუბლიკურში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დიდია კ. ზავრიევის წელილი ინუინერთა ახალგაზრდა თაობებისა და უმაღლესი კუალიფიციაციის სპეციალისტთა აღზრდის საქმეში. 60 წელზე შეტია, რაც ის ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში: პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინუინრების ინსტიტუტში (1914—1915 წწ.), ოდესის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1917—1919 წწ.), თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1921—1930 წწ.), საინუინრო-სამშენებლო ინსტიტუტში (1931—1932 წწ.), ლენინის სახ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინუინერთა ინსტიტუტში (1931—1956 წწ.) და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1956 წ. — დღემდე).

მან დაიწყო ასისტენტობით, 1917 წ. განდა დოცენტი, 1924 წ.—პროფესორი. კითხულობდა ლექციათა კურსებს მასალათა გამძლეობაში, სამშენებლო მექანიკაში, დრეკადობის თეორიაში, მათემატიკაში, მექანიკაში, ხილებში, ხელმძღვანელობდა სამშენებლო მექანიკისა და მასალათა გამძლეობის კონსტრუქციების კათედრებს. დეკანისა და სასწავლო ნაწილში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე ხელმძღვანელობდა სასწავლო პროცესს უმაღლეს სასწავლებლებში (თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო-საინუინრო ინსტიტუტი, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინუინერთა ინსტიტუტი). როგორც ლექტორს, კ. ზავრიევს მუდამ ახასიათებდა სამეცნიერო სიზუსტისა და სიმკაცრისადმი ზიანის მიუყენებლად, რთული მასალის მისაწვდომი და ადვილად ასათვისებელი ფორმით გადმოცემა.

დიდია კ. ზავრიევის ლექციი სამეცნიერო კალიების აღზრდის საქმეში. მის მოწაფეთა შორის არის რესპუბლიკური აკადემიების 2 აკადემიკოსი და 3 წევრ-ურარესპონდენტი, 25 მეცნიერებათა დოქტორი და 100-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

კადრების აღზრდაზე ლაპარაკებისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კ. ზავრიევს ეკუთვნის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სამაგალითო სახელმძღვანელოები: „ნაგებობათა სტატიკა“ (1934 წ.), „ნაგებობათა გამძლეობა“ (1939 წ.) და სხვ.

კ. ზავრიევი დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადო მოღვაწეობას. 40 წელზე მეტია, რაც ის უცვლელად თავმჯდომარეობს სსრკ სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ გამგეობას, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში. დიდ დროს და

წერეგისას ანდომებდა საზოგადო მოღვაწეობის როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი.

კ. ზავრიევის, როგორც მეცნიერისა და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორის, ინიციატივისა და პედაგოგის ღვაწლი ღირსეულად დაფუძნდა. 1935 წ., როდესაც სსრკ-ში შემოღებულ იქნა სამეცნიერო ხარისხები, მას დასერტაციის დაუცველები მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1941 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნისას იგი შეიყვანეს აკადემიუმსთა პარცელ შემყდგენლობაში და აირჩიეს ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1956 წელს იგი აირჩიეს სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილ წევრად. 1941 წ. მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1933 წ. ამიერკავკასიის ფედერაციის შრომის გმირის წოდება, ხოლო 1956 წ. — საპატიო რკინიგზელის.

კ. ზავრიევის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს მისი არჩევა სეისმომეცდევე მშენებლობის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორად და ამერიკის შეერთებული შტატების წინასწარ დაბაზული რკინაბეტონის ინსტიტუტის ნამდვილ წევრად.

კ. ზავრიევი სკუპ წევრია 1940 წლიდან, სამჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, ორი შრომის წითელი ღროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და ოთხი შედლით.

მეცნიერე თეულ წელშია კ. ზავრიევი, მიუხედავად ამისა იგი არ ჩამოშორებია აქტიურ მუშაობას. ყოველ დილით, სამუშაოს დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, იგი შედის თავის კაბინეტში თავისი პირმშოს — სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში. მისი კარი მუდამ ღიაა. მასთან შეირიან თანამშრომლები, ეთათბირებიან მას, ღებულობენ მისგან შიოთხებებსა თუ კონსულტაციებს. ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს კორესპონდენცია საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, საზოგადოებრივ მას თხოვენ სამეცნიერო ნაშრომისა თუ მიღებული ტექნიკური გადაწყვეტის ავკარგიანობის შეფასებას, ყურადღებით ისმენენ სამშენებლო მეცნიერების პატრიარქის აზრს, აზრს, რომელსაც ქველავინდებურად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

რ. ლორთქი ფანიძე, ზ. წილოსანი

КИРИАК САМСОНОВИЧ ЗАВРИЕВ

(краткий обзор научной и общественной деятельности)

Известный ученый в области строительной механики и сейсмостойкости сооружений Кириак Самсонович Завриев является одним из видных представителей советской технической интеллигенции первого поколения. Своей многосторонней деятельностью он внес неоценимый вклад в становление и развитие в Советской Грузии строительной науки, в дело подготовки инженеров-практиков и научных работников, и в решении сложных технических задач, возникающих при проектировании и возведении зданий и сооружений.

К. С. Завриев родился 28 января 1891 года в Тифлисе в семье военного топографа. Среднее образование получил в Тифлисской 3-ей мужской гимназии, которую окончил в 1908 г. с Золотой медалью. По получении среднего образования К. С. Завриев поступил в Петербургский институт инженеров путей сообщения, который окончил в 1914 г. с Золотой медалью за дипломный проект моста. Одновременно он был награжден заграничной командировкой, но не смог ею воспользоваться ввиду начавшейся войны с Германией.

Будучи еще студентом, работал помощником прораба по постройке Дворцового моста в Петербурге, по окончании же института был приглашен преподавателем Петербургского института инженеров путей сообщения для чтения лекций по курсу сопротивления материалов. Одновременно он начал читать лекции и по высшей математике.

В 1915 г. К. С. Завриев отправляется на фронт. Здесь он начинает работать производителем и начальником работ по постройке военных мостов, одновременно проектирует ряд крупных военных мостов в Виленском и Бесарабском районах. В 1917 г. находясь еще на фронте в Бесарабском районе, принимает участие в организации Одесского политех-

нического института и с 1918 года привлекается в нем в качестве доцента для чтения лекций.

В 1921 году, после победы Советской власти в Грузии, К. С. Завриев возвращается в родной город. Известно, что в первые годы Советской власти и даже в годы пятилеток Грузия испытывала нехватку инженеров-строителей. Небольшой группе квалифицированных специалистов: К. С. Завриеву, Г. М. Мухадзе, П. В. Хелтулишвили, В. А. Чинишвили, П. Г. Мамрадзе, А. В. Чиковани и др. Наряду с работой по воспитанию инженерных кадров, приходилось активно участвовать в практике проектирования и строительства и попутно решать многочисленные научные вопросы. По приезду на родину, К. С. Завриев начал работать на Закавказской железной дороге, где запроектировал ряд железнодорожных мостов, взамен разрушенных в результате военных действий. Одновременно он приступил к научно-педагогической деятельности в Тифлисском Государственном политехническом институте, где последовательно занимал должности доцента, профессора (с 1924 года) и декана Инженерного факультета.

В 1928 г. К. С. Завриев назначается заместителем по научной работе первого в Закавказье научно-исследовательского института строительного профиля, «Закавказского института сооружений» (ЗИС).

С 1933 года в течение 25 лет К. С. Завриев работал в Закавказском институте инженеров железнодорожного транспорта (позже Тбилисском институте инженеров железнодорожного транспорта). После слияния указанного института с Грузинским политехническим институтом К. С. Завриев продолжает в последнем читать лекции по курсу сопротивления материалов.

В 1940 году К. С. Завриев назначается председателем Вюро антисейсмического строительства при Грузинском филиале АН СССР, преобразованного в 1947 г. в Институт строительного дела, а в 1966 г. в Институт строительной механики и сейсмостойкости АН ГССР. К. С. Завриев, бесменно руководит им более чем 37 лет.

Научную деятельность К. С. Завриев начал еще будучи студентом. Работая на строительстве нового Дворцового моста в Петербурге (1911 г.), им при проверке проектного материала было замечено несовершенство общепринятого в то время «упругого» метода расчета по допускаемым напряжениям и был предложен новый метод расчета по критическим нагрузкам. Результаты исследования молодого, еще не окончившего института специалиста привлекали внимание вы-

дающегося русского ученого в области строительной механики профессора С. П. Тимошенко и по его рекомендации были опубликованы в 1913 году в «Сборнике Петербургского института инженеров путей сообщения» под названием «Сопротивление упругих стержней сложному продольному изгибу». В том же году и на ту же тему появилась статья и в «Вестнике общества технологов».

Следует заметить, что публикация работы студента в «Сборнике Петербургского института инженеров путей сообщения» было нарушением традиции, так как в сборнике печатались лишь работы профессорско-преподавательского состава института. Причиной этому была ценность работы. Она, благодаря принципиально новому подходу к расчету элементов конструкций на прочность, предвосхила современный метод расчета конструкций по предельным состояниям, который в настоящее время принят в СССР и странах СЭВ, а также получил признание в ряде стран западной Европы. Этот метод лежит в основе «Строительных норм и правил» — основного документа регламентирующего требования и указания по проектированию строительных конструкций в нашей стране.

Как отмечалось, причиной, побудившей молодого К. С. Завриева заняться научной разработкой, была замеченное им при постройке Дворцового моста несовершенство метода расчета. Иными словами, вопрос для исследования ему был продиктован практикой. Умение чувствовать потребности практики и путем научных разработок находить способы их оптимального решения характеризуют К. С. Завриева на протяжении всей своей многолетней и плодотворной научной деятельности. Последняя развивалась в нескольких основных направлениях.

Сейсмостойкость сооружений. Разрушительное Горийское (ГССР) землетрясение в 1920 году, а также Ленинградское (Арм. ССР) и Крымское, произошедшие в несколько последующих лет, показали, что ужасные последствия землетрясений обусловлены обрушением сооружений, под обломками которых гибнут люди и уничтожаются материальные ценности, созданные их трудом. Задумавшись над этим в целях предотвращения бедствий К. С. Завриев решил заняться вопросом обеспечения достаточного сопротивления сооружений действиям землетрясений, т. е. вопросом сейсмостойкости сооружений. Для этого, в первую очередь, необходимо было с достаточной достоверностью определять величины сейсмических воздействий, а также выяснить характер поведения сооружений при этих воздействиях.

В то время во всем мире господствовала теория сейсмостойкости, разработанная японскими специалистами Омори, Монюбэ и др., известная под наименованием «статической». Она основывалась на допущении, что сооружения колеблются как абсолютно твердые тела, т. е. пренебрегались полностью как деформации, сопровождающие колебания, так и собственные колебания конструкций. Первая же попытка применения этой теории для расчета некоторых сооружений убедила К. С. Завриева в том, что она приводит к неправильным и даже неправдоподобным результатам. Выяснив слабые стороны «статической» теории сейсмостойкости сооружений К. С. Завриев разрабатывает новую, так называемую «динамическую» теорию, учитывающую деформации и свободные колебания сооружений. Основы этой теории им были изложены в труде «Расчет инженерных сооружений на сейсмостойкость» (1928 г.). В дальнейшем К. С. Завриев интенсивно работает над развитием выдвинутой им теории и результаты публикует в ряде работ: «Сейсмостойкость инженерных сооружений» (1931), «Основы теории сейсмостойкости» (1933 г.), «О теории сейсмостойкости и технических условиях» (1933 г.), «Расчет гибких сооружений на сейсмостойкость» (1934 г.). Его работы появляются и в таких солидных зарубежных журналах, как «Der Bauingenieur» (1934 г.) и „Beton und Eisen“ (1937 г.).

К разработке динамической теории сейсмостойкости К. С. Завриев привлекает и своих учеников (А. Г. Назаров, А. Л. Чураян, Г. М. Ломизе). Результаты этих исследований вошли в его монографию «Динамическая теория сейсмостойкости» (1936 г.) и в монографию «Теория сейсмостойкости» (1937), написанной им совместно с А. Г. Назаровым. Вопросы сейсмостойкости и динамического расчета конструкций и в дальнейшем остаются в центре научных интересов К. С. Завриева и он посвящает им не одну работу. Так, с 1936 по 1976 год К. С. Завриевым по этим вопросам было опубликовано более 30 работ в том числе монографии: «Динамика сооружений» (1946), «Устойчивость и динамика сооружений» (1959 г. в соавторстве с Г. Н. Карцигадзе), «Расчет зданий на сейсмические воздействия» (1967 г. в соавторстве с А. Г. Берая), «Основы теории сейсмостойкости зданий и сооружений» (1970 г., с авторским коллективом) и другие.

Под руководством К. С. Завриева сформировалась грузинская школа антисейсмиков (Ш. Г. Напетваридзе, Э. А. Сехниашвили, Г. Н. Карцигадзе, Ш. А. Джабуа, А. Л. Чураян, Ан. А. Лосаберидзе, Г. Н. Чачава и др.), которая в на-

стоящее время пользуется высоким научным авторитетом как в нашей стране, так и за ее пределами.

Исследуя вопросы динамики, в частности сейсмостойкости сооружений К. С. Завриев естественно не мог не затрагивать и общие вопросы строительной механики в целом. Развивая идеи, заложенные в его первой работе, он публикует статьи, посвященные расчету прочности в особых случаях, теории пластичности, учету пластичности материалов при расчете конструкций и др., пишет оригинальный курс «Сопротивления сооружений» (1939 г.).

На протяжении всей своей многолетней научной деятельности К. С. Завриев много внимания уделял исследованиям по бетону и железобетону. Уже в начале текущего столетия можно было предположить большое будущее этих материалов. И действительно, сфера применения бетона и железобетона все расширялась. Это требовало развертывания научных исследований. В частности необходимо было разработать методы проектирования состава бетона с тем, чтобы при минимальных затратах дефицитного цемента и трудозатрат по укладке бетонной смеси, можно было бы получать бетон требуемой прочности и долговечности. Это было тем более необходимым, что разработанные зарубежными специалистами (Абрамс, Боломей) способы проектирования состава бетона носили чисто эмпирический характер и не нашли никакого теоретического обоснования. Более того, выяснилось, что в угоду цементнопромышленников, финансирующих исследовательские работы, предложенные зарубежными специалистами, способы подбора состава бетона приводили к завышенным расходам цемента. Естественно с этим нельзя было мириться. В бывшем Закавказском институте сооружений (ЗИС) К. С. Завриев возглавил работы, по разработке более экономического и обоснованного метода проектирования состава бетона. За основу нового метода были взяты ясные физические представления «о коэффициентах заполнения песка и камневидной» взамен не вполне физически ясного значения понятия «модуля крупности», лежащего в основе широко распространенного в то время способа проектирования состава бетона. Это позволило К. С. Завриеву с сотрудниками (Ю. Я. Штаерман, А. И. Яшвили, В. В. Михайлов, П. П. Цулукидзе) разработать метод, при помощи которого соотношения бетона (цемента, воды, песка, крупного заполнителя) можно было получить в результате математического расчета, а не путем пробных попыток, как это требовалась по старому методу. Кроме ясности основных понятий, предлагаемый метод отличался исключительной простотой и удобством применения. Последнее до-

стигались разработанными для практического применения таблицами и номограммами.

Результаты исследования, проведенного за исключительные сжатые сроки (1928—1929 годы), были опубликованы в виде статей, инструктивных и нормативных документов: «Руководство к проектированию состава бетона» (1930 г.), «Инструкция по подбору состава бетона и контролю его в производстве работ» (1930 г.), «Нормы временного сопротивления бетона» (1930 г.), «Проектирование состава бетона по методу Закавказского института сооружений» (1930 г.) и др. Эти нормативные материалы стали широко применяться в строительстве в Советском Союзе. Метод проектирования состава бетона, разработанный под руководством К. С. Завриева в конце 20-х годов, в литературу вошел под названием «Закавказского метода» и пользовался широкой популярностью. Основные представления, использованные при разработке метода, не потеряли значения и по сей день.

Одним из основных направлений технического прогресса в строительстве является всемерное облегчение веса конструкций. Это позволяет сократить транспортные расходы, укрепить элементы конструкций и тем самым сократить трудоемкость монтажа. Облегчение веса конструкций помимо сокращения нагрузок, передаваемых на фундаменты и, следовательно, облегчающих условия их устройства, приводит к сокращению инерционных сил, возникающих при сейсмических воздействиях, что имеет исключительно важное значение при строительстве в сейсмических районах. Понятен по этому тот большой интерес, который проявляется сегодня к данному вопросу.

Одним из эффективных путей облегчения веса конструкций является замена в них тяжелого бетона легким. Принято заметить, что в обосновании этого положения немалую лепту внесли ученые и строители Грузии. Еще в начале тридцатых годов группа специалистов (Ю. Я. Штаерман, М. З. Симонов, Г. Д. Цискели, П. П. Цулукидзе и др.) под руководством К. С. Завриева занялась вопросом исследования легкого бетона и железобетона на природных пористых заполнителях. Мировая практика тогда еще не знала легкого железобетона на природных пористых заполнителях. По отношению к нему отрицательную позицию заняли некоторые известные Московские ученые. Однако коллективу молодых специалистов под руководством К. С. Завриева удалось доказать возможность применения легкого железобетона на природных пористых заполнителях и показать его рентабельность. В тридцатых годах в г. Тбилиси были

построены с применением легкого бетона и железобетона на природных пористых заполнителях такие сооружения как здание Института Маркса—Энгельса—Ленина, Дом правительства, стадион «Динамо», здание на площади Героев и другие. В дальнейшем легкий железобетон на природных пористых заполнителях был применен при строительстве промышленных сооружений и мостов (М. А. Якубович), широко используется в жилищном строительстве. Все это является лучшим вознаграждением пытливых исканий, инициативы и смелости молодых специалистов, внедряющих в строительство легкий железобетон на природных пористых заполнителях.

Роль К. С. Завриева в развитии теории и практики применения бетона и железобетона не будет полностью освещена если к сказанному не добавить, что в руководимом им научном коллективе Закавказского института сооружений были начаты первые в СССР работы по таким важнейшим вопросам, как предварительно напряженный железобетон и расширяющиеся цементы (В. В. Михайлов). Там же был впервые исследован и внедрен и центрифугированный бетон.

Мы отмечали, что первая научная работа К. С. Завриева была связана со строительством Дворцового моста в Петербурге. С вопросами теории расчета мостов он не расставался и в дальнейшем и они занимают видное место в его многогранной научной деятельности. Достаточно сказать, что с 1920 по 1928 год им было опубликовано 3 труда по каменным и железобетонным мостам и 10 трудов по усталости металлов, что тесно было связано с необходимостью оценки несущей способности металлических мостов старой постройки. Такие мосты имелись в большом количестве в частности на Закавказской железной дороге и необходимо было решать важную задачу о возможности их дальнейшей эксплуатации в условиях возросших нагрузок и скоростей движения подвижных составов.

Особо следует отметить работы К. С. Завриева по расчету арочных каменных мостов. Из цикла этих работ в первую очередь следует назвать получившую большую огласку работу, в которой К. С. Завриев устранив погрешность известного немецкого ученого А. Штраснера значительно усовершенствовал его метод расчета арок (1929 г.), работы «Расчет бесшарнирных каменных мостов при условии раскручивания их методом Фрейссинэ» (1929 г.), «Массивные своды из легкого бетона» (1948 г.) и др.

Научные труды К. С. Завриева давно снискали ему имя всемирноизвестного ученого. «Проф. Завриев является одним

из крупнейших мировых специалистов в области антисейсмического строительства», — писал д. т. н. С. А. Бернштейн. «Труд Академика Завриева (Динамика сооружений) представляет большую ценность и вносит вклад как в нашу литературу, так и в мировую», — писал академик Г. П. Передерий. «В области теории (каменных мостов) имеются ценные достижения, в особенности в СССР, где появились труды академика Завриева» (акад. Г. П. Передерий).

Научно-организаторскую работу К. С. Завриев начал еще будучи молодым инженером. В 1917 году он принимал участие в организации Одесского политехнического института, в 1928 году первого на Кавказе научно-исследовательского института строительного профиля «Закавказского института сооружений» (ЗИС). Находясь в течение 14 лет в должности заместителя директора по научной работе К. С. Завриев возглавлял и лично принимал участие в разработке научных направлений по сейсмостойкости сооружений и по бетону и железобетону. Работы в этих направлениях, снискавшие славу ЗИС, в дальнейшем развивались в других научно-исследовательских организациях как Грузинской ССР, так и за его пределами.

В 1924—1930 годах К. С. Завриев был деканом Тифлисского Государственного Политехнического института, а в 1930—1932 годах — заместителем директора по учебной части Инженерно-строительного института. С 1933 года в течение почти 25 лет работал в должности заместителя начальника по научной и учебной работе Тбилисского института инженеров и железнодорожного транспорта. В Институте велась интенсивная научная работа. В частности многое было сделано в развитии транспортного строительства. Под руководством К. С. Завриева были разработаны и внедрены на железнодорожном транспорте усовершенствованные методы расчета каменных и железобетонных мостов, также мостов из легкого железобетона и предварительно напряженного железобетона.

В 1940 году решением Президиума АН СССР К. С. Завриев был утвержден председателем Грузинского Бюро антисейсмического строительства при Грузинском филиале АН СССР (с 1941 года АН ГССР). Одновременно, до 1946 года он руководил работой Энергетического сектора АН ГССР.

В 1947 году, признав значимость работ, проводимых под руководством К. С. Завриева в Бюро антисейсмического строительства, последний был реорганизован в Институт строительного дела; затем переименован в Институт строительной механики и сейсмостойкости АН ГССР. За 30 лет

под руководством К. С. Завриев Институт развернул широкие исследования по трем основным направлениям: сейсмостойкости сооружений и инженерной сейсмологии; строительной механике и конструкциям; физико-химической механике конструкционных строительных материалов.

Институт строительной механики и сейсмостойкости АН ГССР, укомплектованный высококвалифицированными кадрами, воспитанниками К. С. Завриева, пользуется большим авторитетом среди ученых и строителей практиков, занимая передовые позиции по ряду вопросов современной строительной науки.

Наряду с научной работой К. С. Завриев ни на день не прекращал и инженерную деятельность. Начав ее в 1911 году помощником прораба на строительство Дворцового моста в Петербурге потом продолжил ее и с 1915 — по 1917 год, работал прорабом и начальником работ на строительстве военных мостов. В тот период запроектировал и построил ряд крупных военных мостов через Неман, Днепр, Днестр и Десну.

С победой Советской власти в Грузии К. С. Завриев возвращается на родину и назначается начальником мостового отдела Службы Пути Закавказской железной дороги. Он руководит испытаниями мостов и определением их несущей способности, проектирует новые мосты. Всего по проектам К. С. Завриева построено свыше 40 крупных мостов. Среди этих проектов многие (городской мост через реку Куру в Тбилиси, Мцхетский мост и др.) премировались на конкурсах.

